გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს
განკარგულება № 110
2023 წლის 9 ივნისი
ქ. გორი

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების პირველი ქვეითი ბრიგადის №2 ბაზის (ცხინვალის გზატკეცილი მე-3 კილომეტრი) მიმდებარე ტერიტორიაზე „ხელოვნური უსწორმასწორობების“ განთავსების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შესულია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების პირველი ქვეითი ბრიგადის წერილი, რომლითაც მოთხოვნილია თავდაცვის ძალების პირველი ქვეითი ბრიგადის №2 ბაზის (ცხინვალის გზატკეცილი მე-3 კილომეტრი) მიმდებარე ტერიტორიაზე სიჩქარის შემანელებელი ბარიერების მოწყობა.

აღნიშნული საკითხი შეისწავლა გორის მუნიციპალიტეტის მერიამ შსს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის გორის რაიონულ სამმართველოსთან ერთად და ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილების და ავტოსაგზაო შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით, მიზანშეწონილად მიაჩნია მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის დამატებითი ღონისძიების სახით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების პირველი ქვეითი ბრიგადის №2 ბაზის (ცხინვალის გზატკეცილი მე-3 კილომეტრი) მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსდეს სიჩქარის შემანელებელი ბარიერი გოსტ Р 52 605-2006-ის შესაბამისად, შემდეგი საგზაო ნიშნებთან ერთად: 1.18-„ხელოვნური უსწორმასწორობა“; 3.24 - „მაქსიმალური სიჩქარის შეზღუდვა 30კმ/ სთ“; 5,20 - „ხელოვნური უსწორმასწორობა“.

საგზაო უსაფთხოების დაცვისა და საგზაო შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების პირველი ქვეითი ბრიგადის №2 ბაზის (ცხინვალის გზატკეცილი მე-3 კილომეტრი) მიმდებარე ტერიტორიაზე, შესაბამისი საგზაო ნიშნებით, განთავსდეს ზემოაღნიშნული „ხელოვნური უსწორმასწორობები“.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების პირველი ქვეითი ბრიგადის №2 ბაზის (ცხინვალის გზატკეცილი მე-3 კილომეტრი) მიმდებარე ტერიტორიაზე, შესაბამისი საგზაო ნიშნებით, განთავსდეს „ხელოვნური უსწორმასწორობები“.
2. განკარგულების პირველ პუნქტში აღნიშნული „ხელოვნური უსწორმასწორობა“ დამონტაჟდეს ГОСТ Р 52 605-2006-ის განსაზღვრული ნორმების შესაბამისად და დაიდგას შემდეგი საგზაო ნიშნები:

ა) 1.18 „ხელოვნური უსწორმასწორობა“;
ბ) 3.24 „მაქსიმალური სიჩქარის შეზღუდვა“ (30 კმ/სთ);
გ) 5.20 „ხელოვნური უსწორმასწორობა“.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე